

## ომი უკრაინაში. ყოველდღიური სიახლეები. დღე 181-182

მომზადებულია სოფია ოლინიკის, მარიანა ზავისკასა და ანა დოვჰას მიერ.

დღეს უკრაინის დამოუკიდებლობის დღეა. ამასთანავე, უკვე 6 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინა რუსეთის სრულმასშტაბიან შეიარაღებულ აგრესიას უმკლავდება. გამძლეობის, ტკივილისა და სიამაყის 6 თვე. ამასთან დაკავშირებით მოვამზადეთ ახალი საინფორმაციო ფურცელი - [უკრაინის წინააღმდეგობის 6 თვე: რუსეთ-უკრაინის ომი ციფრებში](#)

ყირიმი. თითქმის 60 სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია [შეუერთდა](#) რიგით მეორე ყირიმის პლატფორმის სამიტს, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართა. წელს კიდევ ორი კონტინენტის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის, წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა სამიტში. უკრაინის პრემიერ მინისტრმა, დენის შმიჰალმა, წარადგინა ყირიმის რეკონსტრუქციის სტრატეგია, რომელიც უკრაინის ომისშემდგომი რეკონსტრუქციის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა [განაცხადა](#), რომ ნატო განაგრძობს უკრაინის გვერდით დგომას მანამ, სანამ ამის საჭიროება იარსებებს, თუმცა „*ზამთარი ახლოვდება და ეს ყველაფერი გართულდება. ის ომი, რასაც ახლა ვხედავთ, ორიენტირებულია გამოვითქვასა და დაუძლეობაზე. ეს არის სურვილებისა და ლოჯისტიკის ბრძოლა.*“ საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა [პირობა დადო](#), რომ რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ევროკავშირის უკრაინისადმი მხარდაჭერა „გრძელვადიანად“ გაგრძელდება. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა [განაცხადა](#): „*უკრაინისათვის ყირიმის დაბრუნება, რომელიც უკრაინის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, არსებითად საერთაშორისო სამართლის მოთხოვნაა.*“ პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის საღამოს მიმართვაში [ხაზგასმით აღნიშნა](#), რომ ყირიმი უკრაინას დაუბრუნდება: „*ჩვენ დავიბრუნებთ ყირიმს - ის ჩვენი ტერიტორიაა. ამას კი იმ გზით მოვახერხებთ, რა გზაზეც ჩვენ შევთანხმდებით. ამას ჩვენ თვითონ, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან კონსულტაციის გარეშე გადავწყვეტთ.*“

თავდასხმის ქვეშ მყოფი ქალაქები. 22 აგვისტოს ღამეს, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა **ხარკივის** მიმართულებით რაკეტების [გასროლა განახორციელეს](#). დაზიანდა ქალაქის ინფრასტრუქტურა და ორი შენობა. იმავე დღეს, რუსულმა ძალებმა **დნეპროპეტროვსკის რეგიონის** სამი ოლქი [დაბომბეს](#). დაბომბვის შედეგად 4-მა ადამიანმა მიიღო დაზიანება. დაზიანდა საცხოვრებელი შენობები, მაღაზიები, ბაზრები, სკოლა და საბავშვო ბაღი. გარდა ამისა, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზებიც. დაახლოებით 2000 ადამიანი დარჩა ელექტრო ენერჯის გარეშე.

23 აგვისტოს ღამეს რუსულმა სამხედრო ძალებმა **დნეპროპეტროვსკის რეგიონის** ორ ოლქს [შეუტყეს](#), რის შედეგადაც 1 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 3 კი დაშავდა. ერთ-ერთ ქალაქში დაზიანდა ბუნებრივი აირისა და წყლის მილები, ხოლო მეორე ქალაქში კი - ელექტროგადამცემი ხაზები. დაბომბვის შედეგად კერძო სახლებმაც მიიღო დაზიანება. საღამოს რუსულმა ძალებმა **დნეპრი** [დაბომბეს](#), რამაც სახლების დაზიანება გამოიწვია. გარდა ამისა, რუსმა ოკუპანტებმა **ზაპოროჟიე** [დაბომბეს](#). ოკუპანტებმა ქალაქის ერთ-ერთ უბანში ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე განახორციელეს შეტევა. 23 აგვისტოს, მთელი დღის განმავლობაში, რუსი სამხედროები აქტიურად [ბომბავდნენ ხარკივს](#). სამი შეტევა განხორციელდა ქალაქის 3 უბანზე. 3 სართულიან შენობას ხანძარი გაუჩნდა, რომლის ჩაქრობასაც 100 მაშველი ცდილობდა.

24 აგვისტოს, შუაღამეს, რუსულმა ძალებმა უკრაინას დამოუკიდებლობის დღე **ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ოლქების** დაბომბვით „მიულოცეს“. შუაღამით მტერმა შეტევა განახორციელა ზაპოროჟიეზე. თავდასხმის შედეგად დაზიანდა ქალაქის ინფრასტრუქტურა. ამჟამინდელი მონაცემებით, სულ მცირე 6 საცხოვრებელი შენობის ფანჯრები ჩაიმსხვრა და დაზიანდა ფანჯრის ჩარჩოები. გამთენიას დაზიანდა ინფრასტრუქტურული ობიექტიც. დნეპროპეტროვსკის ოლქის მეთაურის [განცხადების](#) თანახმად, ეს იყო „უწყვეტი საჰაერო განგაშის“ დამე. რუსებმა სამი ოლქი BM21-თა და BM24-ით დაბომბეს.

ოკუპაციის ქვეშ მყოფი ქალაქები. ზაპოროჟიეს ოლქი. რუსულმა ძალებმა ვასილივკაში ფილტრაციის ბანაკის გახსნა [დაანონსეს](#). ხერსონის ოლქის მცხოვრებლები ამ დასახლების გავლით გადადიან უკრაინის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ეს ყველაფერი კეთდება იმ მიზნით, რომ უფრო საფუძვლიანად შემოწმდნენ უკრაინელები და უფრო გრძელი რიგები შეიქმნას უკრაინის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადასვლის მსურველთათვის. ამასთან ერთად, ზაპოროჟიეს ოლქის საოკუპაციო ძალებმა უკრაინისგან „ოლქის დამოუკიდებლობა“ [აღიარეს](#). ისინი უკრაინის იმ მოქალაქეებს, რომლებიც მათ მიერ დაკავებულ ოლქში შედიან, „დროებითი თავშესაფრის მაძიებლებს“ უწოდებენ. ზაპოროჟიეს ოლქის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი უკრაინელები [იღებენ](#) SMS შეტყობინებებს, რომლებიც შეიცავენ დეზინფორმაციას ოლქის რუსეთთან შეერთების შესახებ და ასევე, რუსული პროპაგანდისტული ტელეგრამ არხის ბმულს. ზაპოროჟიეს ოლქის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ძალები დეპორტაციით [ემუქრებიან](#) იმ მოქალაქეებს, რომლებიც არ ეთანხმებიან ოკუპაციას.

**ადამიანის უფლებები.** ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ ლიდერმა, დენის პუშლინმა [განაცხადა](#), რომ მარიუპოლში სრულდება მოსამზადებელი სამუშაოები ტრიბუნალისთვის, რომლის ფარგლებშიც „აზოვის“ პოლკის 23-ზე მეტი უკრაინელი ჯარისკაცი გასამართლდება. სასამართლო პროცესისთვის მზადებასთან დაკავშირებით უკრაინამ გაეროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს [მიმართა](#) თხოვნით, რომ აზოვსტალის დამცველების გასამართლებისათვის დაგეგმილი პროცესი მიჩნეულ იქნას რუსეთის ფედერაციის მიერ ჟენევის კონვენციის დარღვევად. სამშაბათს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა [შემფოთება გამოთქვა](#) რუსეთის მიერ მხარდაჭერილ გეგმაზე, რომელიც მარიუპოლში უკრაინელი სამხედრო ტყვეების გასამართლებას ეხება და დასძინა, რომ ეს პროცესი შესაძლოა ომის დანაშაულს გაუტოლდეს. ამის პარალელურად, უკრაინამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს [წარუდგინა](#) საგანგებო პეტიცია, რომლითაც უკრაინამ მოითხოვა რუსეთის მიერ დატყვევებული აზოვის პოლკის უკრაინელი ჯარისკაცების დაცვის უზრუნველყოფა. უკრაინა ითხოვს, რომ არც ერთ სასამართლოს ან ტრიბუნალს არ მიეცეს ჯარისკაცების გასამართლების საშუალება და უკრაინას მიენიჭოს წვდომა იმ ადგილებზე, სადაც ისინი არიან დაკავებული. პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ [ხაზგასმით აღნიშნა](#), რომ თუ რუსეთის ფედერაცია სასამართლოს გამართავს მარიუპოლში, უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკება შეუძლებელი გახდება.

ათასზე მეტი უკრაინელი ბავშვი, რომლებიც რუსულმა ძალებმა არაღებულად დაადეპორტეს დროებითად ოკუპირებული მარიუპოლიდან, „შვილად აყვანის“ [მიზნით](#) იმყოფებიან კრასნოდარის რეგიონში, რუსეთის ფედერაციაში. რუსეთი სარგებელს [სთავაზობს](#) იმ ოჯახებს, რომლებიც მარიუპოლელ ბავშვებს შვილად აიყვანენ.

უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყებიდან დღემდე [მოკლულია](#) 5587 სამოქალაქო პირი, ხოლო დაშავებულია 7890 ადამიანი. გაეროს თანახმად, მოკლულ სამოქალაქო პირთა უმეტესობა დაიღუპა ფართო დაფარვის მქონე ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით, მათ შორის მძიმე არტილერიისაგან განხორციელებული დაბომბვის, სარაკეტო დარტყმებისა და საჰაერო შეტევების შედეგად.

**ენერგეტიკული უსაფრთხოება.** რუსმა ოკუპანტებმა [დაბომბეს](#) ზაპოროჟიეს თბოელექტროსადგური რადიოაქტიური მტვრის ღრუბლების შექმნის მიზნით. რადიაციის მონიტორინგი, რომელიც ატომური სადგურის მახლობლად ტარდება, რადიაციის დონის მატებაზე მიუთითებს.

სამშაბათს გაიმართა გაროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა [ბრალი დასდეს](#) რუსეთს კატასტროფის ხელშეწყობაში და დაადასაშაულებს იგი მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში იმის შესახებ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ზაპოროჟიეში არსებულ საფრთხეზე.

უკრაინამ [შეწყვიტა](#) ხელშეკრულება რუსეთთან ორი ქვეყნის ენერგეტიკული სისტემების პარალელური მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.

**სანქციები.** კანადა [დაასანქცირებს](#) რუსეთის თავდაცვის სექტორთან დაკავშირებულ კიდევ 62 ადამიანსა და 1 საწარმოს. გარდა ამისა, კანადა გაახანგრძლივებს იმ სანქციებს, რომლებიც ამჟამად რუსეთის ფედერაციასა და ბელარუსში მყოფ 1750 ადამიანსა და კომპანიებს მიემართება.

**უახლესი გამოკითხვები.** “The Russian Public Opinion Research Center”-მა (რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი) რუსებს შორის გამოკითხვა [ჩაატარა](#) ეროვნულ კულტურაზე დასავლეთის გავლენის შესახებ. რუსეთის მოსახლეობის ნახევარი (59%) ვერ ხედავს დასავლური ცივილიზაციის, დემოკრატიისა და კულტურის დადებით მხარეს; 33 %-ს სჯერა, რომ ისინი (ევროპული ცივილიზაცია, დემოკრატია და კულტურა) არ შეესაბამებიან რუსებს, ხოლო 26% მათ დამანგრეველს უწოდებს.

ამასთან ერთად, იმ პირთა ნაწილი, რომელსაც სჯერა, რომ დასავლური ცივილიზაციის, დემოკრატიისა და კულტურისგან ბევრი სასარგებლო რამის გადმოტანა (წამოღება) არის შესაძლებელი, 2000 წელს არსებული 55%-დან 2022 წელს 30%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები რჩებიან იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც დასავლეთის მიმართ ლოიალურები არიან. 18-34 წლის ასაკის პირებს შორის დომინირებს პოზიცია, რომ დასავლეთს ბევრი კარგის “მოცემა” შეუძლია.

**საკითხავი კუთხე.**

- [Ukraine's independence day was always important. Now it is a matter of life and death by Nataliya Gumenyuk | The Guardian](#) – უკრაინა დამოუკიდებლობის 31-ე წელს აღნიშნავს. როგორ აღინიშნება ეს დღე რუსეთის თავდასხმის მუდმივი საფრთხის ქვეშ.
- [Six months, twenty-three lessons: What the world has learned from Russia's war in Ukraine | Atlantic Council](#) – უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გარდაქმნა ბევრი რამ, რაც მსოფლიოს ეგონა, რომ იცოდა არა მხოლოდ სამხედრო ოპერაციებისა და სტრატეგიის, არამედ დიპლომატიის, დაზვერვის, ეროვნული უსაფრთხოების, ენერგეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკისა და მრავალი სხვა საკითხის შესახებ. უკრაინაში ომის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ ატლანტიკურმა საბჭომ სთხოვა ექსპერტებს ჩვენი დიდი ქსელის მასშტაბით, გაეზიარებინათ ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილები, რაც მათ ამ კრიზისმა ასწავლა.
- [In Ukraine, a Nuclear Plant Held Hostage | The New York Times](#) – უკვე ხუთი თვეა, რაც რუსულმა ძალებმა ზაპოროჟიის ელექტროსადგური დაიკავეს. მსოფლიოსა და ატომურ კატასტროფას შორის ის უკრაინელი ოპერატორები დგანან, რომლებიც იარაღების პირისპირ აგრძელებენ მუშაობას.

### სტატისტიკა.

- უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, 2022 წლის 24 აგვისტოს 10:00 საათის მონაცემებით, რუსული სამხედრო ძალების დაახლოებითი დანაკარგი უდრის: პერსონალი – დაახლოებით 45 700, ტანკები – 1924, APV – 4243, საარტილერიო სისტემები – 1036, MLRS – 266, საზენიტო სარაკეტო სისტემები – 147, თვითმფრინავები – 234, ვერტმფრენები – 199, ოპერატიულ-ტაქტიკური დონის უპილოტო საფრენი აპარატი - 819, საკრუიზო რაკეტები – 196, ნავები – 15, საბრძოლო მანქანები და საწვავის ტანკერები – 3160, სპეციალური აღჭურვილობა – 99

### ნებისმიერი ქმედება და წვლილი მნიშვნელოვანია!!!

- დაახლოებით უკვე 170 დღეა, რაც Sharethetruths.org პროექტის განხორციელება დავიწყეთ და გვსურს გთხოვოთ 5 წუთი დაუთმოთ [კითხვარის](#) შევსებას. ჩვენ გვსურს გავაგრძელოთ და გავაუმჯობესოთ ეს პროექტი, ამიტომ თქვენი უკუკავშირი მნიშვნელოვანია.
- გახდით [მობალისე თარჯიმანი](#) და გადათარგმნეთ SharetheThruths თქვენს მშობლიურ ენაზე.
- თვალი ადევნეთ ჩვენს ყოველდღიურ სიახლეებს ჩვენს [Twitter](#)-სა და [ვებ-გვერდზე](#).

მადლობა უკრაინის მხარდაჭერისთვის! Slava Ukraini! დიდება უკრაინას!